საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 მაისი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/29

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის № 04-01/09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის № 04-01/09 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №2) II თავის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 5. ხელოვნების უნივერსიტეტში განცხადებები მიიღება 2021 წლის 01 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით. განცხადებები, ასევე, მიიღება ელექტრონულად ხელოვნების უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის ნებართვით, დასაშვებია განცხადების მიღება ტურის დაწყებამდე.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**